ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 2 1883—1898 30 იანვარი

გაზეთის ფასი:

„მწყემსი“		„მწყემსი“ რუსული გამოცემით	
12 თთვით . . .	3 მან.	12 თთვით . . .	5 მან.
6 — . . .	2 —	6 — . . .	3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Квирилы, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

სიტყვა,

წარმოთქმული არხიმანდრიტის ლეონიდის მ-ერ 11 იანვარს სიონის საკათედრო ტაძარში ჩვენის სასიქადულო მეფის ერეკლე მეორის პანაშვიდის გარდახდის დროს.

ვიგონებ დღეთა მათ პირველთა, და ვიწვრთიდ (ფს. 76, 6)

მხნეობითა და ვაჟ-კაცობით სახელ-განთქმულს, ჭკუით მაღალს და კეთილშობილს ებრაელთა მეფე-წინასწარმეტყველს დავითს, რომელიც იყო უხვად დაჯილდოებული მრავალ-გვარის სიკეთით, სხვათა შორის, ამკობდა და ამშვენებდა ის კეთილი, გონივრული, ყოვლად სასარგებლო და ყველასაგან წასაბაძი ჩვეულებაც, რომ ყოველთვის და ყოველგან ახსოვდა თავისის ერის წარსული ცხოვრება, ბეჯითად ბ გულდანდობით სწავლობდა თავისს წინაპართა თავ-გადასავალს, მათ ჭირსა და ლხინს, მათ ავ-კარგიანობას და ამით იწვრთებოდა, ე. ი. ამისდა მიხედვით, ამის დაკვირვებით და აწონით დაასკვნიდა ხოლმე, რა გვარი, ანუ რა ხასიათის განკარგულება და მოქმედება შესმენდა მის ერს ბედნიერებას და იქნებოდა იმავე დროს ღვთის საამო, მშობელის ერის

განვლილ ცხოვრების გათვალისწინებით, მამა-პაპათა წარსულის ბედის ცხადად წარმოდგენის დახმარებით გადასწყვეტდა ხოლმე, რა იყო საჭირო თანამედროვე მემამულეთათვის, რა არგებდა მის ქვეშევრდომებს, რა ააცდენდა თავიდგან განსაცდელს და სხ. ერთის სიტყვით, ამ მეფეს თავისის ცხოვრებისა და გამგებლობის გზის მაჩვენებლად, შუქ-მომფენ ლამპრად და მტკიცე ყავარჯნად მიაჩნდა წინაპართა წარსული ცხოვრება და ამ რწმენას მოკლედ და მარტივად გამოსთქვამს იგი უკვე მოყვანილ სიტყვებში: «ვიგონებ დღეთა მათ პირველთა, და ვიწვრთიდ».

ჩვენც, ხსენებულის წმიდა მეფისა მსგავსად შევკრებილვართ რა სიმრავლით ამ მამა-პაპეულ ძველისძველ სალოცავში, რომელიც მომსწრეა ჩვენის სამშობლოს მრავალის ჭირისაც და ლხინისაც, ვიხსენებთ ჩვენდა გასაწვრთნელად საქართველოს ცხოვრებიდგან ერთს საგულისხმიერო და ღირს-შესანიშნავ დღეთაგანს. დიდი და პატარა, ქალი და კაცი მოვსულვართ აქ იმ აზრით, რომ მოვიგონოთ საქართველოს სახელოვანისა, ნიჭიერისა, თავდადებულის, მოსიყვარულე პატრონ-ბატონისა, პატარა კახის, მეფე ერეკლეს ასი წლის გარდაცვალების დღე. დღეს სწორეთ ერთი საუკუნე შესრულდა, სრულმა ასმა წელიწადმა განვლო მას შემდეგ, რაც მოისპო გმირთა გმირი მეფე ერეკლეს ქვეყნიური ცხოვრება, დღევანდელ-დღეს ამ ასი წლის წინად გაწყდა სიცოცხლის ძაფი იმ მეფისა, რომლის სახელით ამაყობდა ყოველი ქართველი, რომლის შეხედვა გმირთა ჰქმნიდა მის ქვეშევრდომსა, რომლის რიხიანი ხმა თავს ზარსა სცემდა საქართველოს აუარებელს მტრებს; დღეს დიდი და პატარა მოვსულვართ აქ იმ აზრით, რომ შევავედროთ ზეციერ მამას სული იმ მეფისა, რომლის გონივრულმა და დიდად ბრძნულმა მოსაზრებამ შეგვანარჩუნა სამშობლო ენა, შეგვინახა ეს და სხვა მრავალი წმიდა ტაძარი, მამა-პაპათაგან ნაშრომ ნაღვაწი ჯვარ-სახარება, სასიქადულო სახელი ქრისტიანობისა, დაგვადებინა ძირს სისხლის საღვრელი ბასრი ფრანგული და დაგვაყენა მშვიდობისა, პატიოსან შრომისა და ზნეობა-გონების სწავლა-განვითარების მტკიცე გზაზედ.

ღვთის საამო და ერთა შორის სასიქადულოა ეს ჩვენი საქციელი. პატივ ცემითი ხსოვნა, არ დავიწყება და ყოველთვის მადლობით ხსენება იმათი, რომელთაც უღვაწიათ საზოგადო ბედნიერებისათვის, არ დაუზოგავთ თავიანთის სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვა მოძმეთა საკეთილდღეოდ და აღვსებულნი ყოფილან ღვთისა და მამულის უანგარო სიყვარულით, შეადგენს შთამომავლობის უმაღლესს და უუსაღმრთოესს მოვალეობას. „იცნა ხარმა მომგებელი და ვირმან ბაგა პატრონისა თვისისაო», სწერს ღვთივ განბრძნობილი წინასწარმეტყველი ისაია (1,3,) და რაზომ უმადურნი და უგუნურნი უნდა ვიყვნეთ ჩვენ, რომ დავივიწყოთ იმისი სახელი, რომელიც ღამეც-კი არ აძლევდა თავისს თავს მოსვენებას სამშობლოს კეთილდღეობისთვის შრომა-ფიქრის გამო, რომელიც პირველი იყო ყოველ გასაჭირში და იცოდა სოცარი გამხნევება ქვეშევრდომთა. „ძმებო ყოველნი სიკვდილის შვილნი ვართ, გარნა სიკვდილი მამულისა და მეფისათვის ყველაზე უდიდესია; გავწყდეთ ყველანი, მეც აქ თქვენში ვარ, ნუ უჩვენებთ მტერს ზურგს და ჩვენს გვარსა და სახელს ნუ მოვაყივნებთ“. რად მოგცემს ღმერთი კეთილს, და რად წაგვიმართავს იგი ცხოვრებაში ხელს, თუ დავივიწყებთ და რა დავაფასებთ შრომას იმისას, რომელიც არასა ჰზოგავდა ხალხში ზნეობისა და სარწმუნოების აღდგენისათვის, რომელმაც სძლია ათასნაირი დაბრკოლებანი, შეჰკრიბა ქართლ-კახეთის მწყემს-მთავარნი და მათთან ერთად განარჩია და აღმოფხვრა ქართველთა შორის უწესოდ ქცევანი, დაუდვა მათ სჯული მტკიცე და შეურყეველი, გამართა სტამბა და აღავსო ყოველი ქართველი წიგნითა.

დიაღ, დღეს ჩვენ ვხდილობთ ერეკლეს პატიოსანის სახელის წინაშე ზნეობრივ ვალს, ვასრულებთ ამ საღმრთო მოვალეობას სიამოვნებით სიწრფოებით, ქრისტიანულის სასოებითა და მტკიცე იმედით, რომ ღმერთი შეისმენს ჩვენს ლოცვა ვედრებას, ყურად იღებს ამოდენა ერის გულითადს ღაღადს და მართალთა თანა განუსვენებს მონასა თვისსა, კეთილ-მორწმუნესა მეფესა ჩვენსა, ერეკლეს, რომელიც მუდამ ჟამს გამზადებული იყო შეეწირა თავისი თავი ზვარაკად მამულისა და სარწმუნოებისათვის; ამასთან ერთად დიდი და პატარა ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ღვთივ გაბრწყინვებული სული პატარა კახისა გახარებულია დღეს ჩვენის საქციელით და თავისებრივის მხურვალე სიყვარულით შესთხოვს, ეხვეწება და ევედრება ზეციერს მამას, რომ უმეტ-ნაკლებოდ შევიგნოთ და შევითვისოთ, ჯეროვანად გავითვალისწინოთ და შესაბამად განვახორცი-

ელოთ იგი დიადი აზრი, რომელიც წინ წაიძღოლა და სარჩულად დაუდო მან საქართველოს სვე-ბედის მძლავრ რუსეთთან დაკავშირებას.

ქრისტიანობის შეურყევლად დაცვა, შენახვა დედა-ენისა შეუბღალავად, აღყვავება, განვითარება, წინ-მსვლელობა და ბედნიერება ერისა თავის სამშობლოსავე მიწა-წყალში, მამა-პაპათა სისხლით განპოხებულ მიდამოში, აუარებელ გმირების წმ. ძვლებით გაპატიოსნებულ ნიადაგზედ — აი ყველა ის, რისთვისაც იბრძოდა და დაუძინებლად იღვწოდა მეფე ერეკლე, რის გამოც ეკვეთებოდა ოსმალ-ყიზილბაშ-ლეკთა უთვალავ ლაშკართ, რის ხაპოვნელადაც აიხადა გვირგვინი, მოიხარა თავი რუსეთის ტახტის წინ, გადასცა თანამორწმუნე რუსეთის მძლავრ თვით მბყრობელს ბისონი, დიადიმა, სკიპტრა და სფეროი. ვინ არ იცის რა სავსებით, სისრულით და სინამდვილით, რაგვარის დიდ-სულოვნობით და კეთილშობილურად, მამობრივის ერთგულობით და პატრონულის მზრუნველობით ასრულებდნენ და ასრულებენ დღევანდლამდის დიდ-ბუნებოვანნი, ქრისტეს მმოსავნი და მძლავრნი რუსთა მეფენი ერეკლეს ანდერძს და მის მხურვალე ხვეწნა-ვედრებას ქართველის ერის დაცვა-შენახვის, ქრისტიანობის გამტკიცებისა და ძვირფასის მამულის მოვლა პატრონობის შესახებ? ვინ არ იცის, რა მტკიცედ და შეურყევლად დაიპყრეს ქართველის ერის თანაგრძნობა და ნდობა ჩვენმა მფარველმა და სარწმუნოებით ძმებმა — რუსებმა თავიანთი უანგარო, ქრისტიანობრივის პატიოსნების სათანადო ჩვენზედ გულშემატკივრობით, ჩვენი კეთილ-დღეობისათვის მზრუნველობით, ჩვენის სიხარულისათვის სიხარულით და ტკივილისათვის სიმგლოვიარით? ყოველი ამისი თვალსაჩინო, ცხადი და უტყუარუ საბუთი, სხვათა შორის, თვით ეს დღევანდელი დღეც არის: ეს დღევანდელი დღე, საგულისხმიერო განსაკუთრებით ქართველის ერისთვის, ჩვენთან ერთად უცვნიათ პატივსადებად რუსეთის ტახტისა და ერის წარმომადგენლებსაც და ჩვენთან ერთად ძმურად, მეგობრულად, ქრისტიანობრივის ერთობით განუზრახავთ მათ მარად სახსოვარის ერეკლეს სულის შევედრება ღვთის მიმართ. აი, ეს უკანასკნელი გარემოება — გამოცხადება რუსეთის ერის წარმომადგენელთა მიერ დღეს ქართველების მიმართ ერთგულობისა, მოქალაქობრივის მეგობრობისა და ქრისტიანულის სიყვარულისა გვადებს აწინდელ ქართველებს ერთ გვარ მოვალეობას, რომლის დავიწყება და მომავალში არა განხორციელება გაგვხდის ზნეობრივ დამნაშავედ, როგორც წინაშე დიდებულის რუსის ერისა, ისე წინაშე ერეკლეს ბრწყინვალე სულისა, ეს დიდი და შვილი-შვილთათვის საპასუხო ზნეობრივი მოვალეობა ის არის, რომ ამიერიდგან ყოველი ჩვენგანი თითონ უნდა შეგნებით და მოსაზრებით ხელს უწყობდეს ჩვენსა და რუსთა შორის სულიერი კავშირის განწყობას, თითონ უნდა ჰშველოდეს რუსებს და უადვილებდეს მათ იმ მძიმე ტვირთის განხორციელებას, რომელიც უღლად დაიდვეს საქართველოს შეერთებით, თითონ ჩვენ უნდა ვცდილობდეთ აღვაშენოთ ჩვენი და რუსთა ერთობა მტკიცე და საიმედო საფუძველზედ. ამისთვის, ყოველი ქართველი მოვალეა სიყრმიდგანვე შეუდგეს თავისის თავის შესწავლას, თავისის ერის წარსულის ცხოვრების კვლევა-ძიებას, გულ-დადებით შესმენას მამა-პაპათა საქებურ ზნე-ხასიათთა, შეთვისებას მათის პატიოსნების, დარბაისლობისა და მხნეობის და სხვათა სათნოებათა შესისხლხორცებას.

საჭიროა მოვიპოვოთ და შევიძინოთ ყოველი ესე იმისთვის, რომ ჩვენი მფარველი ერი, ღვთის განგებით მოვლენილი პატრონ-ძმები ჩავახედოთ ძველის ქართველების სასიქადულო მოქალაქობრივს ცხოვრებაში, დავანახოთ მათ სიდიადე ქართველის კაცის ბუნებისა, სისრულე ქართველის ერის გონებრივ განვითარებისა და ამგვარად აღვზარდოთ მათში ის ძმური ნათესაობრივი და მოყვასებრივი ჩვენდა გრძნობა, რომლის საპოვნელად მიეპყრა ერეკლეს თვალი რუსეთის ტახტის მპყრობელისაკენ და რომელიც არ მოჰკლებია საქართველოს მთელის საუკუნის განმავლობაში არც რუსის ერისგან და არც მის მპყრობელთაგან. თვით რუსეთის სახელმწიფოს უგანათლებულესნი და უკეთილშობილესნი შვილები გვასწავლიან, რომ ვისაც სიცოცხლე არ მოსძულებია და არ განუზრახავს თავისის თავის ქვეყნიდამ აღგვა, ვინც მოწადინებული არ არის გადაქმნა-გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვარებას, სხვა ერის გამოუსადეგარ ბარგად და მავნე მეტ-ხორცად გახდომას, ის მხნედ უნდა ადგეს მამა-პაპათა ცხოვრების შესწავლის კვალსაო. და ეს ხომ ვცანით, რომ ყოველივე ამ განსაცდელს და სიგლახაკეს უფრთხოდა სამშობლოს მოყვარული მეფე ერეკლე, საქართველოს არსებობისა და კეთილ დღეობისათვის მუდმივი ზრუნვა არ ჰშორდებოდა არც დღე, არც ღამე. ქართველის ერის არსებობისა და მისის ბედნიერების მოპოვების განუსაზღვრელმა სურვილმა დაათმობინა მას მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით მიღებული სამეფო გვირგვინი და ათქმევინა სამუდამოდ უარი სამშობლოს გამგებლობისაგან, რომელიც შეავედრა და ღაულოცა თანამორწმუნე რუსეთის ძალოვან მეფეებს. უკანასკნელნი დიდად ჰმადლობდნენ უზენაესს ესოდენ საღმრთო და დიადის ხვედრის მოვლენის გამო და მეფურად თავს იდვეს ქართველის ერის არსებობის დაცვა, მისის მშვიდობიანობის შეურყეველობა, მისის სულის თვისებათა შენახვა.

აი, რას გვამცნებს ყველას დღევანდელი დღე, რა ვალსა გვდებს დღევანდელი ეს ჩვენი კრება. მაშ მივიღოთ ჩვენც ამ გვარი მცნება ჩვენს გარდუალ მოვალეობად და, შემდე მხურვალე ლოცვათა აღვლენისა, მიუძღვნათ ჩვენის მხრით შესაწირავად სულით მნათობ ერეკლეს მტკიცე გარდაწყვეტილება, რომ ამ დღიდგან ბეჯითად შეუდგებით ყველანი იმის შეგნებასა, შეთვისებასა და მოპოვებას, რის დასაცავადაც იბრძოდა იგი სიყრმიდგან სიკვდილამდე, ხოლო ბრწყინვალე რუსეთის მეფეები, რომლებმაც ჩაიბარეს საქართველო და, ეჭვი არაა, რომ დღეს ჩვენთან არიან სულიერად, გავახაროთ და ვასიამოვნოთ მტკიცე და წრფელის აღთქმით, რომ რუსეთის ერის მამა-პაპათაგან ნაანდერძევ განუსაზღვრელ სიყვარულს, მოქალაქობრივს ერთობასა და განუყოფელ ნათესაობას არ ვუდალატებთ.



ლოცვასთან და სასულიერო წიგნების კითხვასთან ერთად აუცილებლად საჭიროა ნების გაწვრთნა, თვით-განუკეთესობა.

წმ. ეკკლესია ქრისტიანეს, სხვათა შორის, ვალად უდებს ლოცვასა და სასულიერო შინაარსის წიგნების კითხვასა. და მ რთლაც რომ აუცილებლად საჭირონი არიან ისინი ქრისტიანისთვის; მათ დიდი, ფრიად დიდი სარგებლობა მოაქვთ ადამიანისთვის. ლოცვაში, თუ იგი წრფელი, ფრმა და მხურვალეა, სული ამაღლდება ზეცას, გონება ილტვის ღვთისადმი, გული ივსება სიხარულითა, და ადამიანი გრძნობს ღვთის სიახლოვესა. ზეციერი მამა, დაინახავს თუ არა აღფრთოვანებულ სულს, მისდამი მტოლველს და მსურველს მასთან შეერთებისას, თვის სახიერებისა გამო კეთილ ნებულობს მის დაკმაყოფილებას, უახლოვდება მას, ფენს მას თვისს სხივებს, ავსებს მისს არსებას ციურ სიტკბოებითა და ანიჭებს მას თვისს ცხოველ-მყოფელ მადლსა, რომელიც ეწევა მას სულის განწმენდაში. სამღვთო წერილის გონება დამკარებით კითხვა ანათლებს კაცის გონებას, სავსებით და ცხადად უხატავს მას ღვთის ნებას, სასუფევლის გზებს, აშუტაკებს და აკეთილშობილებს მისს გულსა, ბადებს მასში წმინდა გრძნობებს, ააუფრობს მისს ნებას კეთილისადმი, წარმოშობს მასში უმაღლესთ მისწრაფებათა და სურვილთა, და ამ სახით სული იწყებს ხოლმე აღმაფრენასა. წმინდანების ცხოვრების დაკვირვებით კითხვა თვალწინ უყენებს ადამიანს სხვა-და-სხვა გვარ იდეალთა, განხორციელებულთა ადამიანების მიერვე უჩვენებს მას კერძო საშვალებათა ბოროტების დათრგუნვისათვის და კეთილის აღსრულებისათვის, ამხნევებს, ახალისებს და აქეზებს მას ქრისტიანულ იდეალების შესისხორცებისათვის. გარნა, იმისთვის, რომ ლოცვა და სასულიერო წიგნების კითხვა იყოს კეთილ-ნაყოფიერი, ღვთისათვის სასიამოვნო და ადამიანისთვის სასარგებლო, საჭიროა, რომ ისინი შეერთებულნი იყვენ ნების განვითარებასთან, სულის გაუმჯობესობასთან, სახარებისებრივ ცხოვრებასთან. თუ ლოცვას და სასულიერო წიგნების კითხვას ზნეობრივი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათლება, სათნოიანი ცხოვრება თან არ ჰყვება, მაშინ მათ არ მოაქვთ ჯეროვანი ნაყოფი. მაცხოვარმა ბრძანა: „არა ყოველმან, რომელმან მჰქვას მე: უფალო! უფალო! და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა; არამედ რომელმან ჰყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათასა» (მათ. 7, 21). მოციქული პავლე იტყვის, რომ არა მსმენელი საღვთო წერილისა გამართლდება, არამედ მისი აღმსრულებელი. წმ. მამა ეფრემ სირელი ამბობს: „თუ ჩვენს ლოცვას სითამდაბლე, სიყვარული, სიწრფელე და გულ-კეთილობა არ ამშვენიერებს, უსარგებლოა იგი“. ამნაირად ქრისტიანემ, თუ მას უნდა, რომ ლოცვაში წარმატება ქონდეს და სასულიერო წიგნების კითხვა მისთვის სასარგებლო იქნეს, უმთავრესად უნდა იზრუნოს თვის ნების განვარჯიშებაზე, კეთილ საქმეში განმტკიცებაზე. ქრისტიანემ დრო უმეტესად უნდა მოანდომოს თვის ნების გაწვრთნასა, გასწორებასა: ბოროტებისგან მოცილებასა და კეთილი ადმი მიქცევასა. ის აზროვნებასთან და მგრძნობელობასთან ერთად ქეც დაუღალავად უნდა მოქმედობდეს; თვითოეულ სხივმფენარე აზრს, მას გონებაში წარმოძობილს, ღრმად უნდა ინერგავდეს თვის გუნებაში. უნდა ჩაიყვანოს იგი გულის სიღრმემდის და ნებაში უნდა შეაბწნას. ის ყოველ კეთილ სურვილს დაუყონებლივ საქმედ უნდა აქცევდეს; წარმოიდგენს რა ქრისტეს მცნებათა, ის არ უნდა დაჯერდეს იმას, რომ ხარობს და სტკბება მათის სიმშვენიერის ჭვრეტითა, არამედ უნდა შეისისხლხორცოს ისინი; არ უნდა კმაყოფილდებოდეს ბიწიერებისადმი სიძულილითა, არამედ უნდა იწყოს მისი მოკვეთა. დავხატოთ მოკლედ ის გზა, რომლითაც ქრისტიანე თვის ნების გაუმჯობესობას უნდა შეუდგეს. თავდა-პირველად ქრისტიანე ყურადღებას ამყარებს თვის თავზე, იხედება თვის სულის სიღრმეში, პირუთვნელად იკვლევს, რა ნაკლულევანება აქვს მას, და ამ სახით თვისს თავს სცნობს. თვის თავის გამოცდისაგან ჩნდება მასში თვის უღირსობის, ცოდვიანობის შეგნება. ეს შეგნება მასში ბადებს სითავმდაბლეს, შეურვებას თვის სულიერ სენისათვის და თვით გასწორების საქმისათვის შედგომის გადაწყვეტილებასა. ამის შემდგომ, მისი უპირველესი და მუდმივი ფიქრი ის არის, რომ ყოველთვის მზად იქნეს სასტიკ, ძალდატანებულ ბრძოლისთვის თვის ცოდვით სურვილებთანა. ის თვალ-ყურს ადევნებს თვისს აზრებს, გრძნობებს, მისწრაფებათა, რომლებიც მასში ანუ შიგნიდგან აღიძვრიან, ანუ გარედან შთავლენან; სჩხრეკს მათ, და თუ ისინი სინიდისს და სახარებას ეწინააღმდეგებიან, სცდილობს განდევნოს იგინი თვის სულიდამ, ხოლო თუ ეთანხმებიან, მაშინ მას სისრულეში მოჰყავს ისინი. ის მუდამ ეუბნება თვისს თავს: სულო ჩემო, აღსდეგ, ნუ მიეცემი თავდავიწყებასა, აღიჭურვე მოთმინებითა და სიმხნითა, იბრძოლე ბოროტებასთან და სძლიე იგი. აღვნიშნოთ ზოგიერთი შემთხვევები ცხოვრებაში, როდესაც ადამიანს შეუძლია ეომოს ცოდვასა და სძლიოს იგი. მაგალითად, რომელიმე პირს ამხანაგები აწყენინებენ რითიმე, ამცირებენ ლაპარაკში, ვნებენ საქმით; ხოლო ის ყოველივე ამას ითმენს, არ გარისხდება, არ წამოისვრის ლანძღვით სიტყვებსა, არ ეკიდება მათ მტრულად და არ სარგებლობს მარჯვე დროით, რო მათ სამაგიერო გადაუხადოს; ის მათ სულით და გულით აპატიებს და მათთან ამხანაგურ კავშირს არ სწყვეტს. ანუ, ვინმე ხედავს თვის ამხანაგის ბედნიერებას, და ის ძალას ატანს თვისს თავს- რომ იგი შურმა არ შეიპყროს. ანუ, ვინმემ მოისმინა მუსაიფი, რომელშიც რომელიმე პირს ჩრდილი მიაყენეს, აძაგეს, და ის არ მირბის იმ პირთან და არ გადასცემს მას ნალაპარაკევსა. ანუ, ხედავს ვინმე ადამიანს, ბუნებისგან დასჯილს, ნიჭით ნაკლებს, უსახოსა, და იგი თავს იჭერს, რომ არ დასცინოს მას, არ იმახვილოს მასზე, არ შეიძულოს იგი; პირიქით სცდილობს დაუახლოვდეს მას, მოეხმაროს მას, რითიც შეუძლია, და დაჩაგრულს გული დაუტკბოს, და სხვა-და-სხვა. რა საკვირველია, ადამიანი ერთბაშად და ერთნაირივე ზომით ვერ შეებმება და ვერ იტყვის უარს თვის ცოდვით მიდრეკილებათა. პირველ ხანებში იგი დამარცხდება, მაგრამ მერმე თანდათან იწყებს გამარჯვებასა, საჭიროა ოღონდ რომ ენერგია არ დაკარგოს. ასე, ადამიანი, დაიწყებს რა თვის ბოროტ სურვილების წინააღმდეგობასა და შემუსვრასა, სდგება თვით გაუმჯობესობის ნამდვილ გზაზე, ეჩვევა ცუდ სურვილების უარყოფასა და კეთილ

წადილთა განხორციელებასა. ეს ბედნიერი ჩვეულება ადამიანმა უნდა მოიპოვოს სიყმაწვილეში, რადგან მერმე, როცა იგი ცხოვრების მორევში შესცურავს, როცა იგი ოჯახს მოეკიდება, როცა მას სხვა-და-სხვა ზრუნვა, ფიქრი, მოთხოვნილება მოემატება, როცა მასში ვნებანი გამაგრებულნი იქნებიან,—ძნელია, ფრიად ძნელია იმის მოპოვება. აი, როცა ადამიანი ამ პირდაპირ სულის განახლებისადმი მიმყვანელ გზას დაადგება, როცა შეუდგება, თვის ნების აღზრდასა, ღვთის ნების აღსრულებასა და ბიწიერებისგან უკუნქცევასა, მაშინ, მხოლოდ მაშინ იქნება ღვთისთვის სასიამოვნო და მისთვის სასარგებლო ლოცვა და სასულიერო წიგნების კითხვა, მაშინ გადმოევლინება მას ღვთაებრივი მადლი, მაშინ დაუკავშირდება იგი უფალსა. და აი იმიტომაცაა ის სატირალი მოვლენა, რომ თუმცა ზოგიერთნი გულმოდგინეთ კითხულობენ სამღვთო-წერილს, ზედმიწევნით სწავლობენ მას და ხშირადაც ლოცულობენ, მაგრამ მაინც ვერ უახლოვდებიან ღმერთს, რადგან იმათ უყურადღებოთ დასტოვეს უმთავრესი საქმე ნების გავარჯიშება, თვით გასწორება და მათ იდეების და სინამდვილის შორის ურთიერთობა არ სუფევს.

კაჭახიძე

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება ქ. ქუთაისში 17, 18, 19 და 20 ნოემბერს.

(გაგრძელება*).

19 ნოემბერს, დილის 9 საათზე გაიხსნა კრება. ამ დღეს, თითქმის, ყველა დეპუტატები მოვიდნენ. გარეშე სამღვდელოებაც ბევრი დაესწრო კრებას ამ დღეს. თავ-მჯდომარე, კრების გახსნისათანავე, მიიქცა დეპუტატებისადმი შემდეგი სიტყვით:

თავმჯდომარე: ყველა ის კითხვები და საქმეები, რომელნიც გადმოცემული გვქონდა განსახილველად ყოვლად სამღვდელოსაგან, სასულიერო სემინარიის, ოთხ-კლასიანი და საქალებო გაბრიელის სასწავლებლების სამმართველოებისაგან, თითქმის, განვიხილეთ; ეხლა გვრჩება სანთლის ქარხნის ძველი მეთვალყურე კამიტეტის წევრთა თხოვნები მათთვის საჩუქრების დანიშვნის შესახებ და კერძო პირებისაგან შემოტანილი თხოვნები, რომ მათი შვილები განთავისუფლებული იქნენ სწავლის უფლებისათვის გადასახადი ფულისაგან, ან რაიმე შემწეობა დაენიშნოთ მათ. ეს წვრიმალი საქმეებიც განვიხილოთ და მერე შეუდგეთ სანთლის ქარხნის წარმოების ანგარიშის განხილვას და ამავე ქარხნის მართვა-გამგეობის კამიტეტის წევრთა ამორჩევას.

დ. დ. დამბაშიძე. სანთლის ქარხნის საქმე ისეთი საპატიოა, რომ ამ კითხვის განხილვას პირველათვე უნდა შევდგომოდით. კერძო პირთა თხოვნები გადადევით და პირველად სანთლის ქარხნის ანგარიშის წაკითხვას და გამგეობის საქმეს შევუდგეთ. (ამ წინადადებაზე ყველანი თანახმანი გახდენ).

თავმჯდომარე. ძლიერ კარგი. როგორ ინებებთ? სანთლის ქარხნის ანგარიშის განხილვას მარტო იმ დროიდგან შეუდგეთ, რაც ახალი გამგეობა განაგებს ამ საქმეს, ე. ი. მარტო 1896 და 1897 წლებისას, თუ ძველი წლებისაც განვიხილოთ?

დეკ. დ. დამბაშიძე. რომ კრებამ თვალ-საჩინოდ დაინახოს, თუ რა მდგომარეობაში იყო სანთლის ქარხნის წარმოების საქმე უწინ და დღეს, როცა თვითონ სამღვდელოება მმართავს ამ საქმეს თვის მიერ ამორჩეული პირებით, მე საჭიროდ მიმაჩნია, რომ კრებას მოხსენდეს სანთლის ქარხნის მართვა-გამგეობის მოკლე ანგარიში 1890 წლიდან. (ყველანი თანხმობას აცხადებენ).

თავმჯდომარე: ძლიერ კარგი; მეც ეს მსურდა, მაგრამ ვერ ვაცხადებდი, რადგან შეიძლება არ დამთანხმებოდით. რასაკვირველია, კარგია, ძველი წლების მოკლე ანგარიშების გადახედვა, რომ კაცმა შეიტყოს, თუ რა უმჯობესობა მოხდა სანთლის ქარხნის წარმოების საქმეში დღეს. მე ვფიქრობ, რომ სანთლის ქარხნის მოკლე ანგარიში კლასის დაფაზე დაეტიოს, და ამიტომ საუმჯობესოდ მიმაჩნია ამ ანგარიშებიდან ამოვიღოთ და დაფაზე დავწეროთ, რომ ყველამ ცხადათ დაინახოს. მე ვსთხოვ ბლაღოჩინს მ. ნ. შვანგირაძეს დასწეროს ცარცით, რასაც ამ ანგარიშებიდან ამოვიკითხავთ. აი ვიღებ 1891 წლის ანგარიშს. ეს ანგარიში ჩემგან არის შედგენილი, რადგან მაშინ მე ვიყავი სანთლის ქარხნის გამგე. როცა

---

*) იხ. „მწყემსი“ № 23—24 1897 წ.

მე ჩავიბარე ქარხანა, როგორც ამ ანგარიშიდანა ჩანს (კითხულობს ანგარიშს), მე ჩამბარებია კოშტი და ჩამოქნილი სანთელი, პატრუქი, სხვა მასალები და ფული სულ 10,185 მანეთისა. აი დასწერეთ, თუ რა ჩამბარებია მე. მიწარმოებია საქმე წლის განმავლობაში, ყველაფერი ხარჯები და გადასახადები გამისტუმრებია და წმიდა მოგება დამრჩენია წლის ბოლოს მასალით, და ფულად სულ 10,132 მანეთი. შემდეგ სანთლის ქარხნის წარმოება ჩაბარებია დეკ. მ. ი. კიკაჩეიშვილს. ამასაც ჯეროვანად უწარმოებია საქმე და წლის ბოლოს წმიდა მოგება მასალით და ფულად დარჩენია ცხრა ათას მანეთამდე. 1893 წელიწადში, როგორც ჩანს ანგარიშებიდან, უწარმოებიათ საქმე და წმიდა მოგება მასალით და ფულად დარჩენია რვა ათას მანეთამდე. 1894 და 1895 წლების სანთლის ქარხნის წარმოების ანგარიშები არა ჩანს სრულებით და ამიტომ არ შეგვიძლია დავასახელოთ, თუ რა შემოსავალი იყო ამ წლებში".

ხსენებულ წლებში სანთლის ქარხნის წარმოების ანგარიში ბევრი ძებნეს როგორც ეპარქიალურ კანცელარიაში, ისე თავმჯდომარის წინ მდებარე ქალალდებში, მაგრამ ვერაფერი ვერ მონახეს.

დეკ. დ. ღამბაშიძე. სანთლის ქარხნის ძველი გამგეობის ზედამხედველი კამიტეტის წევრნი ამტკიცებდენ, რომ ყველა წლების ანგარიშები სანთლის ქარხნის წარმოების შესახებ ეპარქიის კანცელარიაში ინახებაო, და თუ იქ არის რამე, რატომ არ მოაქვთ. აი აგერ ბძანდება კანცელარიის მდივანი და ჰკითხეთ, თუ რამეა კანცელარიაში ამ საქმის შესახებ.

მდივანი ერ. ს. თუთბერიძე. რაც რამე საქმეები და ანგარიშები იყო სანთლის ქარხნის შესახებ, მ. თავმჯდომარეს გადმოვეცით, თანახმად მისი თხოვნისა და კანცელარიაში სხვა არაფერია.

ანგარიშები არსად არ აღმოჩნდა და ამ გარემოებამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა კრებაზე.

თავმჯდომარე. როგორც ხედავთ 1894 და 1895 წლების ანგარიშები არა ჩანს. მოგეხსენებათ, რომ 1895 წელში გაიქცა რასკინი, რომელმაც თან გაიყოლა სანთლის ფულები. 1895 წლის დამლევს, როგორც მოგეხსენებათ, სანთლის ქარხნის წარმოების საქმე ყოვლად სამღვდელომ მიანდო თვითონ სამღვდელოებას, რომელმაც ამ საქმის შესახებ აირჩია კამიტეტი დეკ. დ. ღამბაშიძის თავმჯდომარეობით. ამ კამიტეტმა სანთლის ქარხნის ძველი გამგებლის დეკ. ი. კიკაჩეიშვილისაგან ჩაიბარა 156 ფუთი ჩამოქნილი სანთელი, 57 ფუთი კოშტი სანთელი, სამი ფუთი და 30 გირვანქა პატრუქი, ფულად 220 მ. კასის წიგნით, სულ შვიდი ათასი მანეთის საფასე. მაგრამ ამასთან ახალ კამიტეტს დარჩა გადასახდელად ძველი კამიტეტის დროის ვალი 5500 მანეთამდე. 1896 წელში ახალ კამიტეტს უწარმოებია საქმე და ყველა ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენია კოშტი სანთელი 94 ფუთი, ჩამოქნილი 36 ფუთი, და ფულად 1205 მანეთი. ამ 1897 წელში პირველ ნოემბრამდე ანგარიშით ჩანს მოგება შვიდი ათას მანეთამდე. (ყველა ეს ანგარიშები ციფრებით იყო დაწერილი დაფაზე). აი, მ. მ. დეპუტატნო, თქვენ ყველანი ცხადათ ხედავთ ამ ციფრებს და ანგარიშებს. მ. დეკ. დავით ღამბაშიძე ამტკიცებს, რომ ის ვითომ დიდი ფინანსისტია და ყველას ყურები გამოგვიჭექა, რომ ჩემ დროს უკეთესად მიდის სანთლის ქარხნის წარმოების საქმეო და ძველ დროში კი ცუდათ მიდიოდაო. მადლობა ღმერთს, თქვენ კარგათ ხედავთ დაფაზე ამ ციფრებს. გკითხავთ 10,000, 9000 და 8000 მ. მოგება უფრო დიდია, თუ ეს რაღაც საცოდავი ექვსი თუ შვიდი ათასი მანეთი? ჩემი განმარტება საჭირო არ არის, ეს ციფრები ცხადათ გიჩვენებენ ყველას, თუ როდის უფრო ბევრი მოგება შემოქონდა სანთლის ქარხანას ძველი გამგეობის დროს თუ ეხლა. ეხლა თქვენზეა დამოკიდებული, მიიღებთ ამ ანგარიშს და დეკ. ღამბაშიძის მიერ შედგენილ პროექტს სანთლის ქარხნის მმართვა-გამგეობის შესახებ, თუ სხვა წესით წაიყვანთ ამ საქმეს".

სიტყვის თქმის ნებას ითხოვენ თავმჯდომარისაგან გამგეობის წევრნი მდ. ვ. დოლაბერიძე, დეკ. დ. ღამბაშიძე და სხვა მრავალი დეპუტატები.

მდ. ვ. დოლ—ძე გადის, დგება დაფასთან და ამბობს: «მ. თავმჯდომარე, თქვენ ძლიერ ცდებით თქვენს ანგარიშში და მიკვირს რას მივაწერო ეს გარემოება, ანგარიშის უცოდინარობას თუ სხვა რაიმე მიზეზს. თქვენ ბრძანეთ, რომ თქვენი მმართველობის დროს ჩაგბარდათ 10,185 მანეთამდე ფულად და სხვა-დასხვა მასალით. წლის განმავლობაში გიწარმოებიათ საქმე და წლის გამთავეს მოგება დაგრჩენიათ 10,132 მანეთამდე. ასეა თუ არა?

თავმჯდომარე. დიახ, ასეა.

მდ. ვ. დოლაბერიძე. დიდი შემცდარი ბძანდებით. გავს რომ თქვენ ანგარიში არ გცოდნებიათ.

თქვენ ჩაგაბარეს თანხა 10,189 მანეთამდე. წელიწადი აწარმოეთ საქმე. ეხლა გვიბოძეთ ის თქვენთვის ჩაბარებული თანხა და წმიდა მოგება მერე გვაჩვენეთ: რამდენი გრჩებათ? ჩაბარებული თანხა ხომ უნდა გამოვრიცხოთ წლის დამლევს დარჩენილ ფულში? მაგრამ რაღა გამოვრიცხოთ, როცა ჩაბარებულ თანხასაც კიდევ გიკლიათ?! წმიდა მოგება ის იქნებოდა, რომ ჩაბარებულ თანხას გარდა რაიმე ფული გეჩვენებია და შენს ხელში თანხასაც კი უკლია. შენს შემდეგ პირვანდელ თანხას მოკლებია ათას მანეთამდე და შემდეგ წლებში ორი ათას მანეთამდე. 1894 და 1895 წლებში კი სრულებით ვერავითარ ანგარიშებს ველარ ვხედავთ. ჩვენ ჩაგვბარდა თანხად ვალებს გარდა ათას ხუთას მანეთამდე და დღეს ანგარიში გიმტკიცებთ თქვენ, რომ ყველა ხარჯების დაფარვის შემდეგ წმიდა მოგება ქარხანას დარჩენია ექვსი ათასი მანეთი· აი ამას უძახიან წმიდა მოგებას და არა იმას, როცა კაცი წლის დამლევს აჩვენებს იმავე თანხას, რაც მას ჩაბარდა წლის დამდევს».

ამისთანა ანგარიშის შემდეგ იმათ, რომელთაც სიტყვის ნება ქონდათ გამოთხოვილი განაცხადეს, რომ აღარ სურთ ილაპარაკონ, რადგან მ. ც. დოლაბერიძემ გამოთქვა ის, რაზედაც მათ უნდა მიექციათ კრების ყურადღება.

თავმჯდომარემ თხოვა იქვე მყოფს ეპარქიალური კანცელარიის მდივანს მ. ერ. ს. თუთბერიძეს, რომ მას როგორც სანთლის ქარხნის კანტროლერს, თავისი აზრი წარმოეთქვა 1896 წლის სანთლის ქარხნის ანგარიშის შესახებ.

მდივანი. სანთლის ქარხნის ახლანდელი კამიტეტი თავისს ანგარიშში წმიდა მოგებას უჩვენებს 6500 მანეთამდე. ამ ანგარიშს ეთანხმება ეპარქიალური რევიზიონი კამიტეტი, რომელსაც განსახილველად ჰქონდა გადაცემული ხსენებული ანგარიში. ჩემი ანგარიშით კი ცოტა ნაკლები უნდა იყოს წმიდა მოგება. მე დღეს ხელთ მაქვს ამ 1897 წლის სანთლის ქარხნის თვიური ანგარიშები. თუმცა წელიწადს ჯერ კიდევ ორი თთვე აკლია, მაგრამ წმიდა მოგება 7000 მანეთამდე ჩანს. 1896 და 1897 წლების სანთლის ქარხნის წმიდა მოგებები რომ შევაერთოთ და შემდეგ შუაზე გავყოთ, დავრწმუნდებით, რომ ეხლანდელი წმიდა მოგება წლიურად უფრო მომეტებულია წინანდელზე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

25 და 26 იანვარს ქ. ქუთაისის ყველა ეკკლესიებში შესრულებულ იქმნა წირვა და წირვის შემდეგ გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის მღვდელთ-მთავრის გაბრიელის სულის მოსახსენებლად. როგორც წირვაზე ისე პანაშვიდზე ყველგან ბევრი ხალხი დაესწრო. ასევე მოიქცენ სოფლის ეკკლესიებშიაც.

***

ათს იანვარს ქუთაისის სააზნაურო სკოლაში მისაღები გამოცდა იყო დანიშნული. გამოსაცდელად მოვიდა თვრამეტი ყმაწვილი. თუმცა მოსამზადებელს კლასებში თავისუფალი ადგილი არ იყო, მაგრამ ბ. ინსპექტორმა ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ შვიდი ყმაწვილი, რომელთაც საუკეთესოდ დაიჭირეს ეგზამენები, როგორმე მოეთავსებინა — სამი პირველს განყოფილებაში და ოთხი მეოთხეში. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ისიც, თუ რა ლმობიერათ ეპყრობა ბ. გარსევანაშვილი მოწაფეებს და მათს მშობლებს.

ვინც ეგზამენები ვერ დაიჭირეს, ან უადგილობის გამო ვერ მიიღეს, ყველას მამობრივს დარიგებას აძლევს და ურჩევს, როგორ მოიქცენ, რომ მომავალში მაინც როგორმე მოთავსდნენ სასწავლებელში. ბ-ნს ინსპექტორს ზოგიერთთ მშობლებთან სჯა ჰქონდა იმის შესახებ, რომ მომავალი სამოსწავლო წლისათვის როგორმე მეხუთე კლასი გახსნან.

„ცნობ. ფურც.“

***

ხშირად გვწერენ წერილებს იმპერატორის ალექსანდრე მესამის სახსოვრად გამოსული მენდლის მიღების შესახებ. ამისთვის საჭიროდ ვრაცხთ მოვიყვანოთ აქ ცნობა ამ მენდლის მიღების წესს რიგის შესახებ. აი ეს ცნობა:

უმაღლესის ბრძანებით 25 ივნისიდან 1896 წ. დაწესებულ არიან ღვთივ განსვენებულის იმპერატორის ნიკოლოზ პირველის სახსოვრად მენდლები გულზედ დასაკიდებლად ორნაირს ლენტებზედ — ალექსანდრეს და ვლადიმერის ორდენისაზედ, ვერცხლისა — მისაცემად იმ სამხედრო და საკლასსო ხარისხის მოხელეთათვის, რომელნიც სამსახურში იყვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისის მეფობის დროს და—ბრინჯაოსი ყველა მდაბალი ხარისხის მსახურთათვის მისაცემად (შეკრ. მმართებელ. კანონად 1896 წ. სტატია მე-1248 ნომერი). შემდეგ უმაღლესის ბრძანებით 1 თებერვლიდამ 1897 წ. უფლება პირველის მენდალის მიღების შესახებ გავრცელებულ იქმნა იმ მღვდელ-მთავართა და სამღვდელო მსახურებზედაც, რომელნიც მსახურებდნენ იმავ მეფობის დროს.

ზემოთ ხსენებულთა უმაღლესთა ბრძანებათა საფუძვლის ძალით, ხსენებული მენდლები, ამ 1897 წლის განმავლობაში, უკვე გაგზავნილ იქმნენ ორდენთა სამსჯავრო დაწესებულების მიერ უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის სამწერლოის საშუალებით სასულიერო უწყების საკმაო პირთათვის, რომელთაც მოიპოვეს უფლება ამ მენდლების მიღებისა—მაგრამ ბევრის ეპარქიებიდგან აქამომდე არ მოსულა წარდგენილობანი ამ მენდლების გაგზავნის შესახებ იმ პირთათვის, რომელთაც მათის მიღების უფლება აქვსთ.

ამის გამო უწმიდესის სინოდის ობერ პროკურორის სამწერლო, მისის მაღალ აღმატებულების განკარგულებით, ვალად თვლის საუწყებლად და სახელმძღვანელოდ ამ შემთხვევაში, განუმარტოს სასულიერო უწყებას, რომ წეს-რიგი ამ მენდლების მიღებისა ისეთივეა, როგორიც არსებობდა იმ მენდლების მისაღებად, რომელნიც დაწესებულ იქმნა ღვთივ განსვენებულის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მესამეს სახსოვრად. ეს მენდლები გაგზავნილ იქმნენ (და აქამომდეც იგზავნებიან) ეპარქიებში საეპარქიო მღვდელ-მთავრების სინოდალურის ობერ-პროკურორთან მოწერილობის ძალით; ამასთანავე მღვდელ-მთავრები აცნობებენ ჩვეულებრივ იმ პირთა რაოდენობას, რომელთათვის მენდლებია საჭირო, და მათის მიღების შემდეგ გზავნიან საკუთარს ხელ-წერილებს მიმღებლებისას. ასეთივე წეს-რიგი უნდა სრულდებოდეს აწინდელს შემთხვევაშიაც, მაგრამ ამასთანავე უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ საერო პირთ, რომელნიც დღეს სამსახურში აღარ არიან, შეუძლიანთ, თანახმად ორდენთა სამსჯავრო დაწესებულების ახსნისა, მიმართონ მენდლების მისაღებად ან თვისის უკანასკნელის სამსახურის ადგილს და ან ადგილობითს გუბერნატორებს.

„მწყემსის“ კორესპონდენცია

ზუგდიდის მაზრიდან.

საეკკლესიო-სამრევლო სკოლები ნივთიერად ჯერ იმავე მდგომარეობაში არიან, როგორშიაც წასრულ წლებში იყვნენ. სამღვდელოება, რომელზედაც ამ სკოლების ბედ-იღბალი არის დამყარებული, შესაფერად მოქმედებს. ხშირად თავის ხარჯით ხსნიან სკოლებს, სადაც თვითონ ინიშნებიან მმართველად და საღმრთო სჯულის მასწავლებლად. სამღვდელოება რომ ნივთიერად უზრუნველი იყოს, ამ კეთილ საქმისათვის ის არ დაშურავს თავის საშვალებას. აი მაგალითიც: სოფელ მესამე ხორგის (ზუგდიდის მაზრაშია) მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის მღვდელმა მ. ნიკოლოზ დათუაშვილმა, (რომელსაც 1897 წელში დაენიშნა ხაზინიდან დამატებითი ჯამაგირი), თავის სამრევლოში თავის საკუთარ სახლში 1894 წელში შინაურად გახსნა წერა-კითხვის სკოლა, წარსულ სექტემბერს გადააკეთა ერთკლასიანად, რომელსაც შესწირა ორ-თვალი სახლი, შესაფერად გაწყობილი და ორი ქცევა მიწა, მდებარე ირგვლივ სკოლისა, ღირებული 600 მ., სახსოვრად მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრინა ტატიანა ნიკოლოზის ასულის დაბადებისა. ამ შეწირულების შესახებ საჭირო საბუთი ადგილობრივის ბლაღოჩინის ა. ქვარცხავასაგან რაპორტით იქმნა შემოტანილი სამოსწავლებლო რჩევის ზუგდიდის მაზრის განყოფილებაში წარსადგენად სადაც ჯერ არს. ზემო აღნიშნული შეწირულება დღეს სამოსწავლებლო რჩევის განკარგულებაში არის. მ. დათუაშვილი პირველად მღვდლად მსახურებდა ს. ჭალადიდში (სენაკის მაზრაშია), სადაც მან გააკეთა ნავები მუქთად სახმარებელნი, გზები, ხიდებიც და სკოლაც ჰქონდა გამართული. სჩანს, რომ მ. დათუაშვილი კეთილი საქმისათვის არ ზოგავს არც შრომას და არც საკუთარს საშვალებას. მ. დათუაშვილი თვითონ მესამე ხორგის სამრევლო სკოლის მმართველი და საღმრთო სჯულის მასწავლებლად არის დანიშნული. სწორედ პატივის და ყურადღების ღირსია მამა დათუაშვილი ამ კეთილი საქმისათვის. ღმერთმან ინებოს ამ კეთილ საქმეში ხსენებულ მოძღვარს მიმბაძველნი აღმოსჩენოდნენ.

მღვ. დიმიტრი ბერულავა.

დღესასწაულობა ქუთაისის ქალების გიმნაზიაში.

14 ამ იანვარს ქუთაისის ქალების გიმნაზიაში იდღესასწაულეს წმიდა მოციქულთასწორის ქართველთ განმანათლებელის ნინას დღეობა, რომლის სახელზე არის ნაკურთხი ტრაპეზი ამა სასწავლებლის ეკკლესიისა და რომლის სახელიც ეწოდება ამ სასწავლებელს. წირვა ამ დღეს შეასრულა ეოვლად სამღვდელო ბესარიონმა სემინარიის რექტორის მამა არხიმანდრიტის ბენიამენის და კათედრის ტაძრის ზოგიერთ სამღვდელო პირთა თანამწირველობით. წირვაზე შვენიერად კალობდა სასწავლებლის მოსწავლე ქალთაგან შემდგარი გუნდი ამავე სასწავლებლის საღმრთო რჯულის მასწავლებლის მ. ა. გიორგაძის ლოტბარობით. წირვაზე დღის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ხსენებული სასწავლებლის საღმრთო რჯულის მასწავლებელმა მღვდელმა მ. ალექსი გიორგაძემ. წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნა პარაკლისი წმიდა ნინოს სახელზე. პარაკლისზე მოხსენებულ იეო მრავალ ქამიერობით მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი, მემკვიდრე ცესარევიჩი და სრულიად მეფის სახლობა. მოხსენებულ იქმნა საუკუნო ხსენებით დამაარსებელი ამ სასწავლებლისა ჯნეინა ვორონცოვისა ნადეჟდა.

წირვის შემდეგ სასწავლებლის ერთ დიდ დარბაზში გამართული იეო ლიტერატურული დილა, რომელზედაც ბლომად დაესწრნენ საპატიო სტუმრები და მმობლები მოსწავლეთა. პირველად ხსენებული სასწავლებლის ინსპექტორმა ბ. კალენკოვსკიმ წაიკითხა სასწავლებლის 51 წლის ანგარიში. წლიურ ანგარიში დაჯუმარიტებით იეო აწერილი, თუ როგორ მიმდინარეობს ამ სასწავლებლის სვებედი დღემდის თანდათან წარმატებით და ან დღეს რა მდგომარეობაში იმეოფება იგი. ვინაიდგან ამ სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვი თანდა-თან მატულობს, სთქვა ბ. კალენკოვსკიმ, სასწ. მართველობამ განიზრახა უფასო საქალებო სკოლის სახლის შესეიდვა და კიდეც გადაწყდა ამ სახლის შესეიდვა და სექტემბრიდან ამა წლისა სასწავლებელს შემლება ექნება მოსწავლეების სიცხვს მოუმატოს და ჯეროვანად მოათავსოს ეველაფერი სასწავლებელშიო. ამასთან განაცხადა, რომ მასწავლებელთ დიდი ეურადღება აქვსთ მიქცეული მოსწავლეთა გონებით და ზნეობით განვითარებაზე და იმედი გვაქვს, რომ მშობლების დახმარებით მივაღწევთ ჩვენს მიზანსო.

წლიური ანგარიშის წაკითხვის შემდეგ ზედა კლასების მოსწავლე ქალებმა იმღერეს ოპერიდგან ‹Жизнь за Царя›, შემდეგ მოსამზადებელი კლასის მოსწავლეებმა რუდაკოვმა, ეგოროვმა და მარკოვმა წაიკითხეს ნეკრასოვიდგან ლექსი «პატარა გლეხი». ამის შემდეგ მეშვიდე კლასის მოსწავლემ ბარანოვსკიმ დაუკრა ფორტოპიანოზე. შემდეგ მაღალი კლასის მოსწავლეებმა იმღერეს რუსული სიმღერები. მოსწავლე ქალმა აბდუშელმა დაუკრა როიალზე ოპერიდან ‹კარლოს გამბედავი». შემდეგ წაიკითხეს სხვა-და-სხვა ლექსები კრილოვის არაკებიდან და იმღერეს რუსული სიმღერები მეექვსე კლასის მოსწავლე ქალმა სურგულაძემ წაიკითხა ნადსონის ლექსი „იუდა“ ლექსი ისე შვენივრად იქმნა წაკითხუ-

ლი, რომ ეველა მსმენელზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. სხვენებული მოსწავლე ისე სელოვნურად კითხულობდა ამ ლექს რუსულად, როგორც ნამდვილი ბუნებითი რუსი. ეს ლექსი ამავე ნომერში იბეჭდება ქართულად, რომელიც ნათარგმნია ბ. ი. ფერაძისაგან. დასასრულ იმღერეს, „ღმერთო ფარვიდე მეფეს“. ეველა დამსწრე პირები დიდად ნასიამოვნები დაბრუნდენ შინ. მაგრამ უმეტესად ნასიამოვნები დაბრუნდებოდა ჩვენი ქართველი საზოგადოება, რომ ამ ლიტერატურულ დილაზე რამე ქართულად ემღერათ, ეგალობათ და წაეკითხათ. მართალია, მოსამზადებელი კლასის ერთმა მოსწავლე ბავშვმა ქართულად წაიკითხა მოკლე ლექსი, მაგრამ ისეთი ნელი ხმით, რომ, თითქმის ვერავინ გაიგონა.

ი უ დ ა

(ნადსონიდგან)

I.

ქრისტეს, ლურსმებით ჯვარზედ მიმსჭვალულს,
შუბლიდგან სისხლის ოფლი სდიოდა,
და მაინც კაცთა ნათესავისთვის
ზეციურს მამას ევედრებოდა.
იმის საღმრთო და სათნო სახეზედ
წმიდა მადლისა ცეცხლი ელავდა,
ტანჯვებს ითმენდა მშვიდის ღიმილით,
და ეკლის გვირგვინ ქვეშ არ გმინავდა.
ჯვრის გარშემო კი ხალხისა გროვა
იდგა, უზრდელად მას დასცინოდა,
და უძლურ მტრობით ვის ცხებდა ჩირქსა,
იმ დაბრმავებულს როდი ესმოდა.
რა დააშავა?! რასთვის დასაჯეს,
ვითარცა მონა, ან მტაცებელი?!
და ვინ შეახო კადნიერებით
ასე უგნურათ თავის ღმერთს ხელი?!
მან სწავლა წმიდა სიყვარულისა
ამცნო ცოდვილსა ქვეყნიერებას,
უქადაგებდა კაცობრიობას
ძმობის, ერთობის მაღალსა მცნებას,
მოძღვრების დროსა ხალხის გულისთვის
ბევრი ტანჯვები გამოიარა,
და დედამიწამ, ცოდვით სავსემ კი,
მისი უმანკო სისხლი დაღვარა...

II.

მტრედის ფეროვანს შუა ღამესა
მშვიდათ მოუცავს გოლგოთის არე,
და ცის ლაჟვარდზედ ტურფა კაშკაშით
გამოჩნდა ღამის მნათობი მთვარე.
ხან-და-ხან მორცხვი პატარძალივით
ის პირზედ ღრუბელს მიიფარებდა
და ხანდისხან კი მკრთალის ღიმილით
გოლგოთის მთასა შეანათებდა.
ამ მთისა ძირში მდებარე ქალაქს
თავს გადაკვროდა ნისლის ზეწარი,
და მთისა წვერზედ, მსგავსად გმირების,
შავად სჩანდა სამი საზარი ჯვარი.
ორსა მათგანზედ კიდევ ეკიდნენ
დასჯილნი. მთვარე მადლითა სავსეს
თავისს შუქს ცისა სიმაღლიდგანა
ხშირათ ესროდა მათს მკრთალს სახესა,
მაგრამ საშვალო ჯვარზედ არვინ სჩანს...
მოწაფეებმა ქრისტე გადმოხსნეს
დაასაფლავეს და მის სამარხის
ლოდი მხურვალე ცრემლებით მორწყეს.

III.

ვის ჩუმი გლოვა მოისმის ამ დროს
საშუალს ჯვართან მკვლელი გულისა?!
ვინ სტირის ნეტავ?! სახეზედ აზის
იმას ბეჭედი სულის ტანჯვისა.
ვინ იცის, ეგებ სნეულიც არის
შორის სოფლიდგან აქ ჩამოსული,
რათა იესომ ყოვლად შემძლებელ
სიტყვით ჰყოს იგი განკურნებული...
და სტირის ახლა, რადგან შეიტყო,
რომ ის, ვინ მოსცა ხალხსა ნათელი,
ვინც სოფლის კერპებს თავს არ უხრიდა,
ბოროტის იყო მამხილებელი,
გუშინ უწყალოდ ჯვარზედ გააკრეს,
როგორც რომ კაცი მოძულებული,
და საშინელის ტანჯვების შემდგომ
მან შეავედრა მამა ღმერთს სული?!
ეგებ მოწაფე არს საიდუმლო,

იესოს ტანჯვით გულ-გამსჭვალული,
და მასწავლებლის ჯვარს ამბორს უყოფს
იმის წვალებით დანაღვლებული?!
ან ეგებ მძიმე ცოდვილი არის
სვინდისისაგან შეწუხებული
და დღეს ცოდვისა შენდობას ითხოვს
იესოს ჯვრის წინ თავ-ჩაქინდრული?!
არა... ეს თვითონ იუდა არის...
ის სალოცავად არ არს მოსული!!
ან ვით გაბედავს ღვთისა ვედრებას
ბილწით აღსავსე იმისი სული?!
იესოს გვამთან უკანასკნელი
გამოთხოვება მას არ უნდოდა!!
მაშ რათ მოვიდა, ან რომელის გზით?!
ეს იუდამაც თვით არ იცოდა.

IV.

როდესაც ქრისტე ჯვარზედ საცმელად
გოლგოთის მთაზედ მიჰყავდათ მტრებსა,
და მეტის-მეტად მძიმე ჯვრის ქვეშე
ძლივას ანძრევდა დაღლილს მუხლებსა,
იმ დროს იუდა შორი ახლოსა
მყოფი ხედავდა იესოს ვნებას,
და მიხვდა, თუ ვის სიცოცხლე მტრობით
უმსხვერპლა იმან ანგაარებას.
მიხვდა, რომ არ ვინ აღირსებს იმას
ცოდვის შენდობას პირუთნევს ცაში.
და შიში, თანამგზავრი ცოდვისა,
გაუჩნდა იმას გულის სიღრმეში.
მთელი ღამე მის დამფრთხალს გონებას
ქრისტეს აჩრდილი ეჩვენებოდა,
ამაოდ სურდა მის მოშორება
და მოსვენება ენატრებოდა,
რომ საფარს ქვეშე წყნარისა ღამის
მას ყველაფერი დავიწყებოდა:
მაგრამ არ იქნა მშვიდობის ძილი
მას მკურნალად არ ევლინებოდა,
რადგან წყვდიადში, თითქოს ცოცხალი,
ქრისტეს აჩრდილი ელანდებოდა.

V.

აი მის წინ სდგას ქრისტე გვემული,
ეს მოციქული ჭეშმარიტების,
ღმერთი, ჯვარცმული განჩინებითა
შესყიდულის და ბრმა მსაჯულების.
აი ის! ჩუმის საყვედურითა
მისი ციური სახე ელვარებს,
ეკლის გვირგვინი, ეს სიყვარულის
გვირგვინი იმას შუბლსა უწყლულებს.
და სჩანს, სასტიკსა განჩინებასა
ყურში ჩასძახის ის იუდასა
—«წადი, უბიწო მოჩვენებაო»
იტყვის იუდა—ნუ, ნუ მიწყლავ გულს!
თუნდ ერთის წუთის მაინც მიეცი
მას მოსვენება დასნეულებულს!!
რომ აღარ ვგრძნობდე, აღარ ვცოცხლობდე,
დაჩლუნგდეს ჩემი მეხსიერება,
და ესრედ, მტირალს მწარე ცრემლითა,
მეღირსოს მცირე მე მოსვენება!!
შეხედე... შენი გამცემი სტირის
შენს ფეხთ წინაშე .. ოხ, შემიბრალე!!
შენი თვალები გულსა მიპობენ...
ნუ მიცქერ... წადი, გამშორდი მალე!!
თვით ხედავ, ჩემი მტრული ამბორი
ცრემლით მოვრეცხო მზადა ვარ დღესა!!
გადამავიწყე ჩემი წარსული,
ნურღა მაგონებ იმ კრულს ღამესა!!
შენა ხარ ღმერთი: შენ შეგიძლია
კაცსა შეუნდო ცოდვა ყოველი!!
და მე?! მე კი ვინ შევიბრალე?!
კმარა!! შველასა არ ვისგან ველი?!

VI.

სად გაექცევი შ-ვ-ბნელს ფიქრებსა,
და ან სასჯელს სად დაემალები?!
გული დადუმდა. ჭკვა დაიქენჯა,
სულში მეფობენ მკვლელი ტანჯვები.
როგორც სურათი ცოცხალ უძრავი
იგივ აჩრდილი ბედის-წერისა,
იმის წინ ღამის სიჩუმეშია
სდგას, როგორც წინდი განქიქებისა
და მთვარიანი ღამე გარშემო
სვამს გაზაფხულის ტკბილ სურნელებას
და დედა-მიწას გაუზიარებს
თვის გულს ჩათხრობილს წყნარს ელვარებას,
და თავ-ხურული თხელისა ნისლით
იტკბობს ქედრონის მთაც მოსვენებას.

VII.

—„ქრისტეს გამცემო! წადი, გაიქეცი,
და ხალხსა ნულარ მიეკარები
თანაც იცოდე ვერსად სულისა
მყუდროებასა ვერ ეღირსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც გინდ იყო, არ მოგშორდება
შენ ის აჩრდილი ბედის-წერისა,
და ყოველგან იგი იქნება წინდი
შენის საშინელ განქიქებისა.
მოცილდი ჯვარსა! ნუ ბილწავ იმას
შენის ცოდვილის ამბორებითა:
იგი წმიდაა და განბანილი
ზედ დანთხეულის ქრისტეს სისხლითა».
და ის ივლტოდა!...

VIII.

ნახევარი ცა ჭიაფერივით
წითლად შეღება დილის ცისკარმა,
და შორეულის ქედრონის მთები
აალაპლაპეს მისმა სხივებმა.
სერებს იქიდამ გაღვივებულმა
მზემ სხივოსანი ამოჰყო თავი...
გამოიღვიძა ყოველმა არსმა;
ჰქრის თანაც დილის გრილი ნიავი.
ტყე, ეს მინდვრების ამაყი გმირი,
მედიდურადა ღელავს, ხმაურობს,
მის შუა გულში ვერცხლის ფერი რუ
ცელქურ სიმარდით ჩამოჩუხჩუხობს.
ტყის გულში, სადაც წყვდიადი მეფობს,
სადაც ვერ აღწევს სინათლე მზისა
ვერხვისა ტოტზედ გალურჯებული
გვამი ჰკიდია ვიღაც კაცისა.
ვერხვი თვისს ზურმუხტ-ფეროვანს ფოთლებს
იმის სხეულსა გადააფარებს
და, ვით მეგობარს თვისას საყვარელს,
იმას ეხვევა და უპატრონებს.
მოკვდა იუდა! ვერ მოითმინა
სულისა ჩუმი ტანჯვები მწარე
და სვინდისთანა შეურიგებელს
არც კი ეღირსა ბედ-კრულს სამარე.
იმას სიცოცხლის დასასრულამდის
იგივ აჩრდილი ბედის-წერისა
ღამის წყვდიადში ეჩვენებოდა
ვით საყვედური შეცდომისთვისა.
ერთს და იმავე განჩინებასა
თითქოს მის პირი აღმოიტყოდა,
და ტანჯვის მჩხვლეტის ეკლის გვირგვინით
მას თვისი შუბლი უწყლულდებოდა.

ილ. ფერაძე.

საისტორიო მასალა

მღვიმის დედათ მონასტერი.

(ზემო იმერეთშია)

როგორც გამოკვლეულია სხვა-და-სხვა დროს, მღვიმის მონასტერი არის აშენებული მეცამეტე საუკუნეში რაჭის ერისთვის რატი კახაბერიძის და მისი მეუღლის რუსუდანის მიერ. ეს მონასტერი მდებარეობს დაბა ჭიათურიდან ორი ვერსის მანძილზედ მდინარე ყვირილის ხეობაში, რომელიც მედიდურად გადმოჰყურებს მდინარე ყვირილას და მის გარშემო ვიწრო დაცემულ მდებარე ჭალებს. ამ მონასტერს აქვს ნამდვილი უდაბნოს ხასიათი. ამ მონასტერში შესანიშნავია თლილი ქვის ეკკლესია სხვა-და-სხვა ნაირი ჩუქურთმების სახით აჭრელებული და დახატული, ამავე ეკკლესიის ვაზის კარები და ბუნებითი გამოქვაბული (მღვიმე), სახელწოდებული „ბნელეთი“.

გამოქვაბული, სახელწოდებული «ბნელეთი» ღია არის მხოლოდ სამხრეთის მხრით; სიგანით ოცდაათი არშინი, სიგრძით სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ სამოც არშინამდის, (20 საჟ.) ხოლო სიმაღლით თუთხმეტ არშინამდეა (5 საჟ.) შებრძანდებით თუ არა „ბნელეთში», პირველად თქვენ ყურადღებას მიიქცევს ცივი წყარო, რომელიც ლამაზათ გადმოჩანჩქარებს ბნელეთის თაღიდგან; ეს წყარო პირველ საუნჯეთ უნდა ჩაითვალოს ამ მონასტრის მცხოვრებთათვის; ეს წყარო რომ არ ყოფილიყო, მონასტერიც არ აშენდებოდა; ყოველ წლობით ნათლის ღების დღეს ამ წყაროს აკურთხებენ ხოლმე და დიდძალი ხალხიც ესწრება წყლის კურთხევას. ამ „ბნელთეში» უწინ ქვითკირის სათევზე აუზი ყოფილა აშენებული, რომელშიდაც ჰყავდათ მდინარე ყვირილიდან ამოყვანილი სხვა-და-სხვა თევზები, მაგრამ დროთა ვითარებისა გამო ამ აუზის ეხლა კვალიც აღარა სჩანს. იქვე, სადაც წყარო ჩამოდის „ბნელეთში“, ბუნებით გაკეთებულია «სტალაგმიტი». („სტალაგმიტი“ ბერძნული სიტყვაა და ჰქვია ისეთ ქვას, რომელიც ბუნებით ჩნდება გამოქვაბულ ადგილებში მწვეთავი კირ-ნარევი წყლის ცვრებისაგან და ხშირათ წაგავს «კონუსს» ანუ შაქრის თავს). ეს „სტალაგმიტი» სიმაღლით ორ საჟენამდეა და ძირი ირგვლივ ოთხ საჟენამდის ექნება. მნახველი რომ დააკვირდეს, შეამჩნევს, რომ ეს ბუნებით აშენებული ქვა თან-და-

თან იზრდება, რასაც ამტკიცებენ «ბნელეთის“ თა-ლიდგან ჩამომდინარე წყლის ცვრები.

„ბნელეთის“ კედლების ძირში ძველათ უმარ-ხავსთ ხოლმე გარდაცვალებულები; დღესაც შეგვიძ-ლია ვნახოთ იმ დროის რამოდენიმე მიშენებული საფლავები განსაკუთრებით აღმოსავლეთისკენ. ამ „ბნელეთში» სამხრეთისკენ, საიდანაც შესასვლელი არის, აშენებულია ორი ლამაზი თლილი ქვის ეკ-კლესია; ერთი არის მიშენებული დასავლეთის მხრით თვით «ბნელეთის» კედელზედ, რომელიც მეტათ პატარა არის (სიგანით საჟენი, ხუთი არშინი სიგრ-ძით და ამ ზომის შესაფერისი სიმაღლე) ეს პატარა ეკკლესია, როგორც მოგვითხრობენ, პირველათ აუ-შენებიათ, სადაც წირვა-ლოცვა სრულდებოდა მეორე დიდი ეკკლესიის აშენებამდის; დღეს ეს ეკკლესია სრულიად გაუქმებულია, ხოლო მეორე ეკკლესია ბევრათ დიდი არის პირველზედ, დაშორებულია პირველიდან ერთი საჟენის მანძილზედ; ამ ტაძარში მუდამ სრულდება ღვთის-მსახურება. აი ეს ეკკლესია არის თვითონ ის, რომელიც ამ წერილის თავში მოვიხსენიეთ.

უადგილო არ იქნება, ვგონებ, რომ აქვე აღვ-ნიშნოთ ამ ეკკლესიის კედლებზედ და ხატებზედ წარწერილება ძველთაგან. ტაძრის აღმოსავლეთის კედელზედ გარეთ აწერია შემდეგი ლექსი: „ბატო-ნი-შვილის გიორგის მიერ წინამძღვარ ვიქმენ დიო-ნოს აქა, და ფრიად ღვაწლის დამდებმან ესე საფ-ლავი ვითხარ აჰა!» ამ წარწერილების პირდაპირ საფლავი არის გაჭრილი. შიგნივ ტაძარში ჩრდილო-ეთის კედელზედ არის სამი მხატვრობა წარწერი-ლებით:

„რატი კახაბერიძე—ამა ეკკლესიის აღმაშენე-ბელი რაჭის ერისთავი კახაბერიძე, მეუღლა მისი რუსუდან, კახაბერიძე ნიანია“.

დასავლეთის ვაზის კარებზედ აწერია:

«ჩაყის ძესა, კახაბერსა გაუმარჯოს ღმერთმან ამინ, ამინ. საღირს ციმაკურიძესა შეუნდვნეს ღმერ-თმან ამინ; გოგიას ძეს დავითს და მის მეუღლეს მარიამს შეუნდვნეს ღმერთმან ამინ. ამ კარების შე-მამკობელს... ა... თემით მოსულსა აბესალომს ლო-მინას ძესა, მისა მეუღლესა თამარს შეუნდვნეს ღმერ-თმან ამინ». დასავლეთის მხრით-გარეთ ეკკლესიის კარის ბჭესთან არიან დასაფლავებულნი ბატონიშვი-ლი გიორგი და მეუღლა მისი მზეხათუნ დადიანის ასული. სოფლავის ქვებზედ წარწერა შებღალული და გადალესილია სიძველით და ძნელი ამოსაკითხია.

ხატებზედ არის წარწერა ხუცური ასო-მთავ-რული ხელით და ზოგან ასოები წაშლილია და ძნელათ გასარჩევი.

მარჯვნივ მაცხოვრის ხატზედ აწერია:

„ქრისტე! კაცთა ხსნისათვის ქვეყნად მოსრულო და არსთა მფლობელო, დღესა მას დიდსა მიხსენ მარჯვენით მდგომარეთა, მამკობი ხატისა შენისა რუსუდან».

მარცხნივ მაცხოვრის ხატზედ აწერია:

«არსთა ხსნისათვის ქვეყნად მოსრულო, ქრის-ტე ღმერთო, მიხსენ მეცა მამკობი ხატისა შენისა სასჯელისაგან. რატი რაჭის ერისთავი».

მარცხნივ ღვთის-მშობლის ხატზედ აწერია:

«ყოვლად წმინდაო, მღვთის-მშობელო, მეოხ ეყავნ წინაშე ძისა შენისა დღესა მას დიდსა დედო-ფალთ დედოფალს რუსუდანს, რომლისა ოქროითა მოვაჭედინე ხატი ესე შენი და მიითვალე მსახურე-ბა ესე“.

მარჯვნივ ნათლის-მცემლის ხატზედ აწერია:

„ნაშობთა ყოველთა უმეტესო, წინა-მორბედო და ნათლის-მცემელო, მეოხ მეყავ წინაშე ქრისტესა დღესა მას დიდსა განკითხვისასა. რატი რაჭის ერის-თავი

დიდ ვერცხლის ჯვარზედ უკან აწერია:

«ჯვაროო წმიდაო, პატიოსანო, მეოხებითა შენი-თა მაცხოვნე მონა შენი მე მეფეთ მეფის ძე პანკრა-ტი ძე კონსტანტინე მცდემთ და ელენე, ამინ“.

სამი წლის წინეთ მღვიმის დედათ მონასტრის წინამძღვარმა ნეტარ-ხსენებულმა იღუმენია ელენამ მთხოვა, რომ ეს წარწერილობანი ცალკე რვეულში ჩამეწერა მონასტრის უცხო მნახველთა წასაკითხავად, რადგანაც ყველა მნახველს არ ეხერხებოდა ხუცური ასომთავრული ხელით წარწერილობის ამოკითხვა, ამისთვის მეც ცალკე რვეულში მოვათავსე წარწე-რილობანი, რომელიც ინახება ეკკლესიაში-თვით მაც-ხოვრის ხატის წინ.

ჰიათ. საეკ. სამ. სკ. მასწავ. ბესარიონ ვაშაძე

რედაქციისაგან.

ხშირად გვწერენ წერილებს, რომ დაკლებულის ფასით გაუგზავნოთ მსურველთ ჩვენ მიერ გამოცემული წიგნები: „სასწავლო ჟამნი“ და „საღმრთო სჯულის სახელმძღვანელო წიგნი“. ზოგი თხოულობს, რომ ეს წიგნები გაუგზავნოთ ფას-დადებით და ზოგი კი გვპირდება გაიდვის შემდეგ ფულების გამოგზავნას. ყველას უნდა ვაცნობოთ, რომ ძლიერ ცუდი დრო დაგვიდგა. ნდობა აღარ არის. ზოგიერთებისაგან ფულის ამოგებას არა ეშველა რა. საბუსაროდ ჩვენს მოძმეებშიაც კი აღმოჩნდენ ისეთი უნდობნი პირნი, რომელთა შესახებ ვერას ვიფიქრებდით. რაიც შეეხება ფას-დადებით წიგნების გაგზავნას და ისიც დაკლებული ფულით 40—50 ცალობით, ესეც საძნელია, რადგან ფოსტა ამისთანა შემთხვევაში გასაგზავნს მეტს იღებს. ვისაც სურს ფას დაკლებით მოიპოვოს ხსენებული სახელმძღვანელოები, მათ შეუძლიათ მიიღონ ჩვენგან ხსენებული წიგნები ქ. ქუთაისში და დაბა ყვირილაში. ეს ადვილი მოსახერხებელია. თვითონაც რომ არ შეხვდესთ ხსენებულ ადგილებში ჩამოსვლა, შეუძლიათ ნაცნობს გამოატანონ ფული და მათი ხელით წაიღონ წიგნები.

ზოგიერთ ადგილებიდან აგრეთვე მოგვდის წერილები, რომ საღმრთო და საეკლესიო წიგნები გაუგზავნოთ ფოშტით და იმ ფასად, როგორც თფილისში იყიდება. ეს მოუხერხებელია. საწყობი მოტანილ წიგნებზე და გასაგზავნს იმისთანა ადგილებზე, საცა რკინის გზა მიდის, მანეთზე 20% იღებს. და იმ ფასებში წიგნების გაყიდვა, როგორც თფილისში იყიდება, შეუძლებელია. ამასთან ვაცნობებთ ყველას, რომ მარხვანი, ვრცელი ქავნი, და კონდაკი არსად არ იმექონება.

ამასთან ჩვენი გამოცემის ზოგიერთ ხელის მომწერთა ყურადღებას მივაქცევთ ერთ გარემოებას. ზოგიერთები როცა გაზეთის ხელმოსაწერ ფულს გზავნიან, იწერებიან: ვგზავნი რა ამასთანავე სამ ანუ ხუთ მანეთს, რედაქციას ვსთხოვ მიგზავნოს გაზეთი 1898 წელში. წერილიდან სჩანს, ვითომც ხსენებული ფული იგზავნება ამ 1898 წლის გაზეთისთვის და წარსული წლის ფული კი შემოუტანელია. ალბათ ფიქრობენ, რომ რედაქციას აღარ ეხსომება მათზე დარჩენილი ძველი წლის ფული. ეს ტეუილი ფიქრია!.. რედაქციამ კარგად იცის თუ ვიზედ რამდენი ფულები რჩება. მაგრამ მოთმინებას არ კარგავს!..

რედაქცია ეცდება, რომ თავის გამოცემის შემდეგ ნომრებში სამღვდელოებას წინ-და-წინ მიაწოდოს სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის საუბრები და საკითხავები დიდ მარხვისათვის. ამისათვის საჭიროა, რომ ფოსტიდან დროით მოიკითხონ ნომრები, თუ თვითონ ფოსტა არ უგზავნით მათ დროზე.

„ცნობის ფურცელი“

1898 წელს გამოვა უფრო ვრცელის შინაარსით და მრავალის ცნობებით საქართველოს ყველა კუთხიდან. «ცნობის ფურცელი» ერთად-ერთი ყოველ-დღიური გაზეთია, რომელიც სიაფისა გამო ყველასათვის ხელ მისაწდომია.

დიდი უპირატესობაა აგრეთვე ის გარემოება, რომ გაზეთი გამოდის ყოველ-დღე კვირა უქმეების შემდეგაც

წლიურ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

ვინც გაზეთს წლიურად დაიკვეთავს, იმას უსასყიდლოდ გაეგზავნება

კედლის კალენდარი 1898 წლისათვის

სურათებიანი და მშვენიერს ქაღალდზე დაბეჭდილი სხვა-და-სხვა ფერადებით

სამგალითო და მვარფასი ნობათები.

„ცნობის ფურცლის“ რედაქციამ შეიძინა უფლება და დამდეგს 1898 წელს გამოსცემს

ჩვენის ახალ-გაზრდა ნიჭიერის მწერალის

შ. არაგვისპირელის

სრულს თხზულაგათა

ვტორას სურათით, მოკლე ბიოგრაფიით და კრიტიკულის განხილვით

წიგნში მოთავსებული იქნება ოცზე მეტი სხვა-და-სხვა საუკეთესო მოთხრობები, დაწერილი 1898 წ-დე

წიგნი იქნება მშვენიერს ქაღალდზე დასტამბული, დიდის ზომისა და 300 გვერდზე მეტი

გაზეთის ფასი: წლიურად ყველა ნობათებით 6 მ. ნახევარის წლით 4 მ. ერთის თვით 60 კ. ცალკე ნომერი 3 კ.

შელავათიან ხელის-მომწერთათვის

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც წლიურ ფასის სრულად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შელავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მ. წარმოადგინონ და მერე ყოველ თვე-და-თვე თითო მანეთი, ვიდრე წლის ფასს შეასრულებდნენ. 3—2

რედ. გამომ. **ვალ. ლევ. ძე გუნია.**

კერძო საავათმყოფო ამბულატორიითურთ

ს. გ. თოფურიასი

ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი ვხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან დანერვებით ავათმყოფებს მიიღებს

ექ. ს. გ. თოფურია.

ხირურგიულ შარდით და სიფილისით

ექ. ფ. კ. გერრატი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და საბებიოს ქალი-

ექ. მ. ფ. კაგანი.

თვალების ავათმყოფისათვის

ექ. ი. კ. ვარშავსკი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავათმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ოპერაციის ფასი გარიგებაზეა.

სამკურნალოს დირექტორი **ს. გ. თოფურია.**

შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: სიტყვა, წარმოთქმული არქიმანდრიტის ლეონიდის მიერ 11 იანვარს სიონის საკათედრო ტაძარში ჩვენი სასიქადულო მეფის ერეკლე მეორის პანაშვიდის გარდახდის დროს.—ლოცვასთან და სასულიერო წიგნების კითხვასთან ერთად აუცილებლად საჭირო ნების გაწრთვნა, თვით-განუკეთესობა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—„მწყემსი“-ს კორრესპონდენცია ზუგდიდის მაზრიდან.—დღესასწაულობა ქუთაისის ქალების გიმნაზიაში.—იუდა, ლექსი ნადსონისა.—საისტორიო მასალა მღვიმის დედათ მონასტერი.—რედაქციისაგან.—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე.** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 29 Января 1898 г. ✦ Цензоръ прот. Е. Еліевъ.

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хананових, на Нѣмецкой ул.